

ქ.ქუთაისში, წერეთლის ქ. N224–ისა და მისი მიმდებარე
ტერიტორიის, ცოფზე არაკეთილსაიმედოდ გამოცხადების შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის ქ.ქუთაისის საქალაქო სამმართველოს 2011 წლის 3 იანვრის N4 ექსპერტიზის მიკროსკოპული გამოკვლევის საფუძველზე, ქ.ქუთაისში, წერეთლის ქ. N224–ში მცხოვრები მოქალაქე ზინა გიორგაძის კუთვნილ დაცემული ძაღლის პათოლოგიურ მასალაში დადასტურდა ცოფი.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქ.ქუთაისში, წერეთლის ქ. N224 და მისი მიმდებარე ტერიტორია, 2011 წლის 4 იანვრიდან გამოცხადდეს ცოფზე არაკეთილსაიმედოდ.

2. ეთხოვოს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს /რ.არველაძე/, კომპეტენციის ფარგლებში, ადგილზე მისვლით განახორციელოს სიტუაციის შესწავლა, ჩაუტაროს იძულებითი ლეზინფექცია ცხოველის სამყოფელ ადგილებს საღებინფექციო საშუალებებით, ასევე, ცოფის საწინააღმდეგო იძულებითი ვაქცინაცია, როგორც წერეთლის ქ. N224–ში, ასევე, მის მიმდებარე და მოსაზღვრე ტერიტორიებზე მცხოვრებ მოქალაქეთა კუთვნილ ცხოველებზე /ძაღლები, კატები/, გამოავლინოს დაავადებული და კონტაქტში მყოფი ცხოველები.

3. დაევალოს შპს „უქიმერიონი XXI–თან“ /ზ.გორგასლიძე/ არსებულ მაწანწალა ცხოველების საიმპლაცო ბრიგადას, ტერიტორიიდან გაიყვანოს მაწანწალა, მიკედლებული ცხოველები /ძაღლები, კატები/.

4. ქ.ქუთაისის სამხარეო კლინიკურმა საავადმყოფომ და ს/ს ქუთაისის სამხარეო დედათა და ბავშვთა სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრის რაბიოლოგიურმა სამსახურმა /ი.რობაქიძე, ვ.გახოკიძე/, დაუყოვნებლივ შეისწავლონ და ჩაუტარონ მკურნალობა დაავადებულ ძაღლთან კონტაქტში მყოფ ადამიანებს.

5. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე დ.გორდელაძემ.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქ.ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

8. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში.

ქალაქ ქუთაისის მერი

გ.თევდორაძე